

პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „მწვანე არქიტექტურა და მშენებლობა, როგორც ინტეგრირებული აზროვნების პროცესი“.

2018 წლის 3 ოქტომბერს არქიტექტურის საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გ. ნიკოლაძის სახელობის დარბაზში არქიტექტურის საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში ჩატარდა პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „მწვანე არქიტექტურა და მშენებლობა, როგორც ინტეგრირებული აზროვნების პროცესი“.

სლოგანი:

„მწვანე არქიტექტურა მდგრადი მომავალი“

კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი;
2. შპს ახალი ტექნოლოგიების ცენტრი;
3. საქართველოს არქიტექტორთა კავშირი.
4. ქალაქთმშენებლობითი ეკოლოგიის პრობლემების შემსწავლელი სასწავლო სამეცნიერო ცენტრი;
5. არქიტექტურული განათლების ხელშემწყობი და სამეცნიერო კვლევითი და საპროექტო ცენტრი;

კონფერენციის მიზანი იყო მწვანე არქიტექტურისა და საინჟინრო-სამშენებლო ტექნოლოგიების უახლესი ტენდენციებისა და მათი დანერგვის ვექტორების განსაზღვრა არქიტექტურულ-შემოქმედებით, საინჟინრო-სამშენებლო და სასწავლო-აკადემიურ სივრცეში.

ამოცანა: არქიტექტურულ-სამშენებლო დარგის სპეციალისტების, სტუდენტების, სამშენებლო სექტორის წარმომადგენლების მოღვაწეობის ხელშეწყობას მწვანე არქიტექტურის განვითარების კუთხით, რაც თავის მხრივ გაზრდის ანტროპოგენული სივრცის ხარისხს და შეამცირებს ან აღმოფხვრის უარყოფით გავლენას ბუნებრივ გარემოზე.

კონფერენციამ ერთი დღე იმუშავა. მოსმენილი იყო, როგორც უცხოელი, ასევე ქართველი სპეციალისტების გამოსვლები. მოსმენილი იყო 14 მოხსენება. მომხსენებლებმა ისაუბრეს მწვანე მშენებლობის აქტუალურ საკითხებზე, წამოჭრეს რიგი პრობლემები და შემოგვთავაზეს მათი გადაწყვეტის გზები. მომხსენებლებმა ისაუბრეს იმ რეალობებსა და გამოწვევებზე რომელიც დღევანდელ საქართველოში მწვანე

მშენებლობაში არსებობს. განიხილეს მდგრადი დიზაინის ფილოსოფიური საწყისები, მისი ევოლუცია ენერჯისა და ბუნებრივი რესურსებისადმი ხარჯთეფექტური მიდგომები. უცხოელმა სპეციალისტებმა ისაუბრეს მწვანე კლასტერების მუშაობის პრინციპებზე და მათ როლზე ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარების საქმეში ლუბლიანას მაგალითზე. განიხილეს ინოვაციური, მწვანე მშენებლობის, კლასტერის შექმნის იდეა როგორც საქართველოს შენობათა სექტორის სწორი განვითარების ეფექტური ხერხი. მწვანე საკონსულტაციო აპლიკაციის მუშაობის პრინციპები და მისი ქართული ვერსიის შექმნის შესაძლებლობა. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო მწვანე არქიტექტურის პრინციპებით აგებული და დაპროექტებული პირველი შენობა-ნაგებობები თბილისში. ასევე წარმოდგენილი იყო თბილისის ახლად აშენებული რამოდენიმე უბანი, რომლებიც არღვევენ ქალაქის ეკოსისტემას და პრობლემატურია.

კონფერენციის მეორე ნაწილში გაიმართება დისკუსია და შედგა რეზოლუციის პროექტი. გამოიკვეთა რიგი პრობლემური საკითხები. აღინიშნა, რომ არსებობს ცოდნის დეფიციტი, არასაკმარისადაა განვითარებული ეკოლოგიური განათლება, საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებული დიზაინის გაძლიერება, გამოიკვეთა დარგობრივი მედია საშუალებების არსებობის აუცილებლობა, ამასთან დაკავშირებით უნდა განვითარდეს მწვანე ჟურნალისტიკა, ასევე არსებობს თანამედროვე ტექნოლოგიების ნაკლებობა, არასრულფასოვანია მენეჯმენტი, აუცილებელია საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება, საზოგადოების მეტი ჩართულობა, სერთიფიცირების საკითხების დახვეწა და სხვა.

ბოლოს აღინიშნა, რომ საფუძველი ჩაეყარა ისეთ მნიშვნელოვან კონფერენციას რომელიც მნიშვნელოვნად დაეხმარება მწვანე არქიტექტურის, მშენებლობის და ეკონომიკის განვითარებას საქართველოში.